ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1361927

ნომერი: AR1231900

თარიღი : 25.06.2014

გაცემის თარიღი : 04.07.2014

გაცნობის თარიღი : 07.07.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , ელმავალმშენებელი ქარხნის წინ არსებული ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მზია კაციაშვილი პ/ნ 01030027211
- ქ. თბილისი, იმერეთის I შესახ. #13

ორგანიზაცია:
- რეესტრ-ცენტრი კოდი: 404438319

ნომენკლატურა :
- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1231900 განცხადებას, რომლითაც გსურთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.01.004.016) ფუნქციური ზონის ცვლილება. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის რომ არქიტექტურის სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა აეროგადაღებაზე ზუსტად მონიშნოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, ფართობისა და ზომების მითითებით. ასევე დააკონკრეტოთ მოთხოვნა, თუ რომელი ფუნქციური ზონის რა ზონით და რა მიზნით გსურთ ცვლილება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა მოცემული საკითხი გადააგზავნოს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სხდომაზე განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.